**კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი**
**KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS**
**მისამართი - მ.ალექსიძის 1/3**

# *ივანე ჯავახიშვილი და სამართალი*

2016 წელს ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 140 წლის იუბილე აღინიშნება. ამ თარიღთან დაკავშირებით კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმი და იურიდიული ფაკულტეტი, გახსნის გამოფენას: **ივანე ჯავახიშვილი და სამართალი.**

20 ოქტობერს 16:30 საათზე ივანე ჯავახიშვილის ავტოგრაფები გამოიფინება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გალერეაში. (ი. ჭავჭავაძის №1). სამართლის ისტორიის კვლევის ამსახველ საარქივო დოკუმენტებთან ერთად საზოგადოებას საშუალება ექნება იხილოს ივანე ჯავახიშვილის პირადი ნივთები და საბიბლიოთეკო იშვიათობად ქცეული მისი გამოცემები, ავტორისეული მინაწერებითა და შენიშვნებით. დამთვალიერებელს საშუალება მიეცემა თვალი მიადევნოს ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებისა და სამეცნიერო საქმიანობის ამსახველ საინტერესო ფოტოებს.

ყოველ ეპოქაში სახელმწიფოს მოწყობისა და მისი რაობის განმსაზღვრელი სამართლებრივი საფუძლები იყო, ამიტომ სამართალწარმოების ტრადიცია, ორიგინალური სამართლებრივი ძეგლები, სასამართლო აქტები და განჩინებები, ისტორიის ნებისმიერ ეტაპზე ყოველთვის განსაკუთრებულ ინტერესს აღძრავდა. ივანე ჯავახიშვილი საგანგებოდ იკვლევდა საქართველოში სამართლის ისტორიას, სამართლებრივ ტერმინოლოგიას, სამართლის დარგში შექმნილ ცალკეულ თხზულებებს, სახელმწიფო მოწყობის სამართლებრივ საფუძვლებსა და სხვ. ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობის ეს მხარე ცნობილია როგორც ისტორიკოსების, ისე იურისტებისა და სამართლის ისტორიკოსებისათვის, თუმცა ამ უმნიშვნელოვანესი კვლევების ამსახველი ჩანაწერები, სამართლევრივი ტერმინოლოგიისა თუ საგულისხმო აქცენტების ათასობით ბარათი, სამართლის ისტორიის სამუშაო ვერსიები ფართო საზოგადოებისათვის ნაკლებადაა ცნობილი. ეს საარქივო ჩანაწერები დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში - ივანე ჯავახიშვილის პირად არქივში და ნათლად ასახავს თუ რა კოლოსალური შრომა ჩაუტარებია ივანე ჯავახიშვილს ქართული სამართლის ისტორიის დღეს უკვე სამაგიდო წიგნებად ქცეულ ამ გამოკვლევებში.

გამოფენა 26 ოქტომბრამდე გაგრძელდება და დასწრება ყველა მსურველისთვის იქნება შესაძლებელი.

შეგახსენებთ, რომ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი არის უდიდესი ხელნაწერი მემკვიდრეობის საცავი საქართველოში. იგი ემსახურება ხელნაწერი მემკვიდრეობის პოპულარიზაციას. სამეცნიერო პროდუქციის შექმნის გზით ხელს უწყობს ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის ზრდასა და განვითარებას.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
**მარიამ ჯაბიძე**
mariamjabidze@gmail.com
598 175 777; 577 977 199
**თამარ გურგენიძე**
friends@manuscript.ac.ge
599 899 628